უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთრების უფლება დაცულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ამ ტერიტორიებზე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობასთან სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს.

ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეზღუდულია შემდეგი სახის ეკონომიკური საქმიანობა: ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა იგი მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, თუ ასეთ საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, სჭირდება ნებართვა;

სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეტანა ან/და გამოტანა;
საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო მიმოსვლა, გარდა გაეროს 1982 წლის „საზღვაო
სამართლის შესახებ“ კონვენციით დადგენილი შემთხვევებისა;
სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვა;
სახელმწიფო რესურსებით სარგებლობა;
ფულადი გადარიცხვის ორგანიზება.
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება ისჯება - ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, სამიდან ხუთ წლამდე.
პასუხისმგებლობა მძიმდება თუ ქმედება ჩადენილია:
ჯგუფურად,
არაერთგზის,
ასეთივე დანაშაულისთვის მსჯავრდებულის მიერ,
ასეთ შემხვევაში სასჯელი იქნება ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა, ოთხიდან ექვს წლამდე.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან პირები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ახორციელებენ გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას - მოსახლეობის სიცოცხლის უფლების უზრუნველსაყოფად; კერძოდ, უზრუნველყოფენ საკვებით, მედიკამენტებითა და პირველადი მოთხოვნილების საგნებით.

თუმცა ამ ქმედებებში ჩართული პირები ვალდებულნი არიან, საქართველოს მთავრობას შეატყობინონ განსახორციელებელი/განხორციელებული საქმიანობის დაწყების ან დასრულების დრო, აგრეთვე უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მოსახლეობისთვის გაწეული დახმარების შესახებ.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის სპეციალური თანხმობით, კერძოდ თუ ეს ემსახურება: საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას, დეოკუპაციას, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენას ან ჰუმანიტარულ მიზნებს.

ადამიანის უფლებათა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილია და მათზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება რუსეთის ფედერაციას, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეებისათვის, მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის და სათანადო ნებართვით, საქართველოში მყოფი და ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადასული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის - რუსეთის ფედერაციის, როგორც სამხედრო ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს, პასუხისმგებლობა განისაზღვრება საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის რუსეთის ფედერაციის, როგორც სამხედრო ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს, პასუხისმგებლობა განისაზღვრება საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

უკანონო ორგანოები

უკანონოა ნებისმიერი ორგანო/თანამდებობის პირი, რომელიც შექმნილი - დანიშნული/არჩეული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ან რაიმე ფორმით ახორციელებს მართვის პროცესს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

უკანონო ორგანოების მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი ითვლება არარად და სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აქტი გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის მიზნებისათვის.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.